KA040161570714923

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ გ5595 **16 / ივნისი / 2023 წ.**

ნინო აფაქიძეს
ელფოსტა: foi+request-2770-39de3468@askgov.ge
მისამართი: ნ. ყიფშიძის ქ. N 8
ტელეფონის ნომერი: 551 16 06 69

ქალბატონო ნინო,

თქვენი მიმდინარე წლის 13 აპრილის (რეგ. N2432) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ დეკლარაციის მონიტორინგი ხორციელდება შევსებულ დეკლარაციაში მითითებული მონაცემების სისრულისა და სისწორის შემოწმებით. მონიტორინგის შედეგების შესაბამისად, ბიუროს უფროსი/შესაბამისი უფლებამოსილი პირი იღებს ერთერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: დეკლარაციაში დარღვევის არარსებობის შესახებ; დეკლარაციაში დარღვევის არსებობის შესახებ; თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში არაარსებითი დარღვევის არსებობის შესახებ.

ასევე გაცნობებთ, რომ დეკლარაციაში დარღვევის არსებობის შემთხვევაში, კანონმდებლობა ითვალისწინებს თანამდებობის პირის დაჯარიმებას. ჯარიმის ოდენობა 2018 წლის მაისამდე განსაზღვრული იყო 1000 ლარის ოდენობით, ხოლო 2018 წლის მაისში კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების თანახმად, განისაზღვრა თანამდებობრივი სარგოს 20%-ით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა, ხოლო გათავისუფლებულ თანამდებობის პირებთან მიმართებაში – თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ბოლოს მიღებული თანამდებობრივი სარგოს 20%-ით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა (ჯარიმის ოდენობები მოცემულია დანართში).

2023 წლის მონიტორინგის შედეგები ხელმისაწვდომი იქნება მიმდინარე წლის ბოლოს. ასევე, მონიტორინგის შედეგები ყოველი კალენდარული წლის ბოლოს ბიუროს მიერ ქვეყნდება პროაქტიულად ვებგვერდზე - csb.gov.ge.

პატივისცემით,

ბიუროს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თეიმურაზ ჩიხრაძე